თელავის გაზეთი

№7-8 2024 წ.

მათი გმირობა დაუჩოქებელი საქართველოს სიმბოლოა

2008 წლის აგვისტოს ომიდან 16 წლისთავზე, ხელისუფლების წარმომადგენლები ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, გიორგი ანწუხელიძის მშობლიურ სოფელში, მისი სახელობის სკვერში შეიკრიბნენ და ეროვნული გმირის ხსოვნას პატივი მიაგეს.

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ალადაშვილმა პარლამენტის წევრებთან – ირაკლი ქადაგიშვილთან, გელა სამხარაულთან, ეროვნული გვარდიის მეოცე ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის მეთაურ, ნიკოლოზ ვაშაყმაძესთან, თელავის და ახმეტის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებთან ერთად, სოფელ ქვემო ალვანში, გიორგი ანწუხელიძის მემორიალი გვირგვინით შეამკო.

ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლებმა აგვისტოს ომს შეწირული კიდევ ერთი ახალგაზრდის ხსოვნას მიაგეს პატივი – 2008 წლის 9 აგვისტოს, სოფელ ნიქოზზე მიტანილი რუსული საავიაციო შეტევისას, ზურაბ ბალაშვილი სასიკვდილოდ დაიჭრა. 21-ე ბატალიონში ის ერთადერთი დაღუპული იყო.

ზურაბ ბალაშვილი სოფელ ნაფარეულში დაიბადა. რუსეთ-საქართველოს ომის გმირმა სიკვდილის შემდეგ მიიღო მედალი „მხედრული მამაცობისთვის“. ზურაბ ბალაშვილის სახელობის მემორიალი მის მშობლიურ სოფელში ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს.

„ყოველ 8 აგვისტოს პატივს მივაგებთ ჩვენი გმირების ხსოვნას. მათ სამშობლოს ყველაზე ძვირფასი – სიცოცხლე შესწირეს. გიორგი ანწუხელიძე და ზურაბ ბალაშვილი ჩვენი დროის გმირები არიან, მათი თავგანწირვა ღირსეული მაგალითია მომავალი თაობებისთვის“ – აღნიშნა თელავის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან ანდრიაშვილმა.

აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა მეუფე დავითმა სასულიერო პირებთან ერთად, გარდაცვლილთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა.

დიდება გმირებს!

თბილისში ერეკლე II-ის ძეგლი აღიმართება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე: ჩვენი ეროვნული გმირის, ერეკლე II-სთვის პატივის მისაგებად, კახეთის გზატკეცილზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის მიმდებარედ, მერაბ მერაბიშვილის ესკიზის მიხედვით აღიმართება ერეკლე II-ის ძეგლი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყალთოში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე იყალთოს საეკლესიო არქიტექტურულ კომპლექსში იმყოფებოდა. მთავრობის მეთაურს აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა უმასპინძლა. პრემიერმა ეკლესია და იყალთოს აკადემიის ტერიტორია დაათვალიერა; ასევე მოისმინა დეტალური ინფორმაცია დაგეგმილ სამუშაოებთან დაკავშირებით.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს – იყალთოს საეკლესიო არქიტექტურული კომპლექსის ფერისცვალების გუმბათოვან ეკლესიასა და აკადემიის შენობას – რეაბილიტაცია ჩაუტარდება. რესტავრაციისას ფერისცვალების გუმბათოვანი ეკლესიის სახურავიდან მოიხსნება კრამიტის საფარი, გასუფთავდება კედლები, დაზიანებული ადგილები შეივსება, გამაგრდება საძირკველი, ტაძრის პერიმეტრზე მოეწყობა სანიაღვრე არხი; მოხდება აკადემიის კედლების კონსერვაცია, გაკეთდება საყრდენი კედელი. ძეგლის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 3 073 219 ლარი.

იყალთოს საეკლესიო არქიტექტურულ კომპლექსში ირაკლი კობახიძესთან ერთად საქართველოს მთავრობის, პარლამენტისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

თელავში „რთველი 2024“-ის საკოორდინაციო შტაბი გაიხსნა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია კახეთში ყურძნის მისაღებად საწარმოების მზადყოფნას გაეცნო. ღვინის მწარმოებლებთან შეხვედრაზე ითქვა, რომ 2024 წელს, ყურძნის საპროგნოზო მოსავალი რეკორდულია და დაახლოებით 300 ათასი ტონას შეადგენს. დღეის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებული კომპანიების, საშუალო და მცირე მარნების რაოდენობა 3000-ს აღწევს, საიდანაც 500-ზე მეტი საწარმო ყურძნის მიღების პროცესში ჩაერთვება. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს, რთველში რეგისტრირებული იყო ღვინის მწარმოებელი მხოლოდ 40-მდე კომპანია.

„წლებია, რაც ჩვენ მევენახეობა-მეღვინეობის დარგი გამოვაცხადეთ პრიორიტეტად და ძალიან მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩავდეთ ამ დარგის განვითარებისთვის. 10-12 წლის წინ, ჩვენი მევენახეების შემოსავალი კახეთში 50 მლნ ლარი იყო, წელს ველოდებით, რომ მინიმუმ 350 მლნ იქნება, რაც ჩვენს მიერ გატარებული სწორი პოლიტიკის შედეგია. ამ პროცესის ერთერთი ხელშემწყობი ისიც არის, რომ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება რქაწითელის ჯიშის სუბსიდირებაზე. ყველა პირობა არის შექმნილი იმისთვის, რომ მაქსიმალურად ორგანიზებულად ჩატარდეს რთველი“, – განაცხადა ოთარ შამუგიამ.

თელავში საკოორდინაციო შტაბის გახსნას ესწრებოდნენ და მეღვინეობის დარგის ხელმძღვანელებს სიტყვით მიმართეს: კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ალადაშვილმა; კახეთის რეგიონიდან საქართველოს პარლამენტის წევრებმა: ირაკლი ქადაგიშვილმა, გელა სამხარაულმა, დავით სონღულაშვილმა და სხვებმა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

მევენახეების დასახმარებლად, ქალაქ თელავში, რთველის საკოორდინაციო შტაბი და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელი ხაზი (1501) 24 საათიან რეჟიმში მუშაობს.

ინფორმაცია

სამუშაოები წლის ბოლოს დასრულდება

მიმდინარეობს ახმეტა-თელავი-ბაკურციხის საავტომობილო გზის 5 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია, რომელიც თელავში თბილისის გზატკეცილს, რუსთაველისა და აღმაშენებლის მონაკვეთს მოიცავს.

რეაბილიტაციის პროცესს კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ანდრიაშვილი და საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე პავლე გამყრელიძე გაეცნენ

პროექტი ხორციელდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით და გათვალისწინებულია გზის სრული რეაბილიტაცია. გარდა ასფალტის საფარისა, სრულად იცვლება მიწისქვეშა კომუნიკაციები და წყლის მილსადენები. ეწყობა სანიაღვრე არხები და ტროტუარები. ასევე, გათვალისწინებულია მოსახლეობის ეზოებში შესასვლელებისა და მიერთებების მოწყობა, საგზაო ნიშნების მოწყობა და გზის სავალი ნაწილის მონიშვნა.

გზის აღნიშნული მონაკვეთი თელავის მთავარ შემოსასვლელს წარმოადგენს როგორც აღმოსავლეთის, ასევე სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან და მისი სრული რეაბილიტაცია მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე ქალაქის სტუმრების კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, – აღნიშნა თელავის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან ანდრიაშვილმა.

პროექტი, რომლის დასრულებაც წლის ბოლომდეა დაგეგმილი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და ღირებულება 13 849 534 ლარს შეადგენს.

თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს

თელავის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ანდრიაშვილი გაეროს ახლად დანიშნულ მუდმივ კოორდინატორს, ბატონ დიდიე ტლებიუკს შეხვდა. შეხვედრას გაეროს მოსახლეობის ფონდის ოფისის ხელმძღვანელი მარიამ ბანძელაძე, RCO განვითარების კოორდინაციის ოფიცერი დავით მუშკუდიანი, გაეროს განვითარების პროგრამის ეკონომიკური განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელი გიორგი ნანობაშვილი და გაეროს მოსახლეობის ფონდის კომუნიკაციებისა და პარტნიორობის ანალიტიკოსი სალომე ბენიძე ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე მხარეებმა თელავის მუნიციპალიტეტში ერთობლივად განხორციელებული პროექტები განიხილეს. საუბარი შეეხო მუნიციპალიტეტში არსებულ გამოწვევებს, ინფრასტრუქტურას, განათლების, სამეწარმეო, ტურიზმის, მეღვინეობის, აგრო და სამედიცინო სექტორს, ისევე როგორც ნარჩენების მართვის პოლიტიკას.

აღსანიშნავია, რომ გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ცივის მთის ტურისტული ბილიკების მოწყობის პროექტზე მუშაობა უკვე დაწყებულია.

ამავე პროგრამისა და ევროკავშირის დაფინანსებით, შემფუთველთა კლასტერის (PMAG) მხარდაჭერით კი თელავში არაერთი კომპანია სარგებლობს.

შეხვედრაზე სამომავლო პროექტებსა და პარტნიორობის გაღრმავებაზეც იმსჯელეს.

თელავს თანამედროვე სტანდარტების სკოლა შეემატება

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი, აგრძელებს თელავის №2 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

სკოლაში მიმდინარე სამუშაო პროცესებს ადგილზე გაეცნენ მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე გიორგი ციბაძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ანდრიაშვილი და კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გივი მეტრეველი.

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, საჯარო სკოლის რეაბილიტაცია განხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სკოლაში, რომელიც გათვლილია 350 მოსწავლეზე, მოეწყობა საკლასო ოთახები, საპირფარეშოები, სპორტული მოედნები, კეთილმოეწყობა ეზოს ტერიტორია. ასევე, დამონტაჟდება გათბობის, წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემები. სკოლა სრულად ადაპტირდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

აღსანიშნავია, რომ თელავის №2 საჯარო სკოლაში მოსწავლეებს განათლების მიღება უწევდათ რთულ პირობებში. სამუშაოების დასრულების შემდეგ კი, მოსწავლეები ისარგებლებენ გამართული და კეთილმოწყობილი სასკოლო ინფრასტრუქტურით.

შეგახსენებთ, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 5.3 მილიონი ლარია. სამუშაოების დასრულება იგეგმება მიმდინარე წლის ბოლოს.

თელავის მუნიციპალური ტრანსპორტის მარშრუტს ფშავლის მიმართულება დაემატა

29 ივლისიდან, თელავის მუნიციპალური ტრანსპორტის მარშრუტს დაემატა ფშავლის მიმართულება.

№11 ავტობუსი მოძრაობს ყოველდღიურ რეჟიმში, 08^{00} საათზე, 13^{00} საათსა და 18^{00} საათზე გავა, თელავიდან ფშავლის მიმართულებით, თელავი-ნაფარეული-სანიორე-ჯუღაანი-ლალისყური-ფშაველი-ლეჩურის მარშრუტით.

ავტობუსი ფშავლიდან თელავის მიმართულებით გადაადგილდება 09^{00} საათზე, 14^{00} საათსა და 19^{00} საათზე.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე აღინიშნა

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 12 აგვისტოს, თელავში, მშვიდობის პარკში, გაიმართა ახალგაზრდული ფესტივალი. იგი დატვირთული იყო სპორტული, შემეცნებითი და საბავშვო აქტივობებით.

მოეწყო ახალგაზრდა მეწარმეების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა; ფერების შოუ; ჩატარდა კერამიკის მასტერკლასი „კერასგან“; წარმოდგენილი იყო: IT Step Academy – რობოტებითა და ვორკშოფით; თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება – სამაგიდო თამაშებითა და ვიქტორინებით; „World Vision“ – საინფორმაციო კუთხით და მრავალფეროვანი თამაშებით. „ECOVISION-ის ჩართულობით გაიმართა ენერგოეფექტურობის დღისადმი მიძღვნილი აქტივობები: ინფორმაციულ-შემეცნებითი სივრცე; ფოტოგამოფენა; ვიდეოფილმის ჩვენება.

ახალგაზრდობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ჯგუფი სექტორადას“ და „მასტერის“ კონცერტით დასრულდა.

ლაფანყურში წყლის ახალი სათავე-ნაგებობა მოეწყობა

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაფანყურში 50 ტონის ტევადობის სასმელი წყლის სათავე ნაგებობა ეწყობა.

პროექტის ღირებულება 490 000 ლარს შეადგენს და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

მოწყობილია 3 დამოუკიდებელი სადრენაჟე სისტემა. სრულად შეიცვლება 1,7 კმ სიგრძის წყლის მაგისტრალური სადენი, რომელიც სოფელს დაუკავშირდება. ამორტიზებული სადენების ნაცვლად ეწყობა თანამედროვე, პოლიეთილენის მილსადენები.

პროექტი, რომელიც 2 თვეში დასრულდება, ლაფანყურისათვის ხარისხიანი სასმელი წყლის უწყვეტ რეჟიმში მიწოდებას უზრუნველყოფს.

ინტერვიუ

მამუკა მანჯგალაძე: „მიმაჩნია, რომ უცხოეთში მყოფი თითოეული ქართველი თავისი ქვეყნის სახეა“

სულ ცოტა ხნის წინ, თელავის მუსიკალური სასწავლებლის დარბაზში ღვაწლმოსილ პედაგოგ იზა ცერცვაძისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ ოპერის ცნობილი მომღერლები – ვახო ჯაშიაშვილი, ბარიტონი, თბილისის ოპერის მომღერალი; პაატა სუხიტაშვილი, ტენორი – ავსტრიის ქალაქ ლინცის ოპერის მომღერალი; მამუკა მანჯგალაძე, ტენორი, დუსელდორფის ოპერის მომღერალი; თელავის სხვადასხვა ანსამბლების წევრები, ხელმძღვანელები, მომღერლები და მუსიკოს-შემსრულებლები: ავთო ზატიკაშვილი, ნოდარ გაგნიძე, ჟანა ხანჯალიაშვილი, ნაზი ჩიდრაშვილი, გივი და გოგიტა ნატროშვილები, გურამ გურგენაშვილი, ნინო გაგუა, არჩილ ტეტიაშვილი, გიორგი ვარსიმაშვილი, დათა ჩარბაძე, ნანა ქუბინიძე, მედეა იორდანიშვილი, ლია საგინაშვილი, ნინო გზირიშვილი და სხვები. გუნდის ხელმძღვანელობა მაია შალიკაშვილმა ითავა, საღამოს წაყვანა კი ვერიკო სახიაშვილს შესთავაზეს, – აგრეთვე, იზა ცერცვაძის ნამოწაფარს.

მართლაც, დიდებული საღამო გამოვიდა! ამ ყველაფერს კი სათავე დაუდო მამუკა მანჯგალაძემ, ჩვენმა თანაქალაქელმა, დუსელდორფის ოპერის მომღერალმა, ქ-ნ იზა ცერცვაძის ნამოწაფარმა. მან იდეა გაუმხილა მუსიკალური სასწავლებლის დირექტორს ლელა ონიანს და ყველა ერთად ჩაერთო ღონისძიების მომზადებაში. თითოეული მომღერალი თუ მუსიკოსი სიამოვნებით დათანხმდა მონაწილეობაზე და ასე ერთობლივად, საუკეთესო მუსიკალური დღესასწაული აჩუქეს თელაველებს.

ვისარგებლეთ შემთხვევით და ინტერვიუ ჩავწერეთ მამუკა მანჯგალაძესთან, რომელიც მხოლოდ ზაფხულობით ახერხებს ოჯახით მშობლიურ ქალაქში ჩამოსვლას, თუმცა, როგორც ამბობს, მაქსიმალურად „ითვისებს“ დროს და დილაადრიან იწყებს თელავის შემოვლას, სტუმრობს ნაცნობ-მეგობრებს, მთასა და ბარს, ცდილობს, სამშობლოს ყველა კუთხე-კუნჭული მოინახულოს.

– მოგვიყევით ოჯახის და ბავშვობის წლების შესახებ, რას გაიხსენებდით?

– დავიბადე ქალაქ თელავში. აღსანიშნავია, რომ ამ ქალაქში მანჯგალაძეების გვარის ერთადერთი ოჯახი ცხოვრობს. მამაჩემი თელავში საცხოვრებლად ჩამოვიდა თბილისიდან, ხოლო ბებია წარმოშობით ქიზიყიდან იყო, ალადაშვილი. ბებიას მამა და მისი ძმა, არაჩვეულებრივად მღეროდნენ ხალხურ სიმღერებს.

7 წლის ასაკში სწავლა დავიწყე თელავის მეორე საშუალო სკოლაში. ერთ დღეს, სკოლაში გვესტუმრა თელაველებისათვის კარგად ცნობილი მაესტრო, ბატონი პავლე დემურიშვილი, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვების შესარჩევად. პირველად რომ ვიმღერე ("ჭრელო პეპელა"), იმდენად ვნერვიულობდი, რომ შევასრულე უსმენოდ და, რა თქმა უნდა, შერჩეულ ბავშვებს შორის ვერ მოვხვდი.

კლასის დამრიგებელმა მეორედ მოიწვია იგი, რომ დაერწმუნებინა ჩემს ნიჭიერებაში სიმღერის და მუსიკის მიმართულებით. ასეც მოხდა და შემდეგ უკვე სოლისტი ვიყავი „პავლეს ბიჭუნათა“ გუნდში. ეს იყო საოცარი პერიოდი, – მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გასტროლებზე უმრავ ქვეყანაში დავდიოდით: ბალტიისპირეთში, ციმბირში, მოსკოვში, ლენინგრადში, გერმანიის ქალაქ ბიბერახში... ყველგან ლაურიატები ვხდებოდით. ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელი იყო ქალაქი ტომსკი, სადაც ასევე გავხდით ფესტივალის ლაურიატები და საიდანაც მიგვიწვიეს ლენინგრადის სახელგანთქმულ კაპელაში. იქ ერთი კვირით ადრე გაიყიდა ყველა ბილეთი! გვქონდა ორ განყოფილებიანი ხანგრძლივი კონცერტები, რაც იმდენად დიდ ძალისხმევას მოითხოვდა მომღერალი ბავშვებისგან, რომ ისინი ცუდადაც კი ხდებოდნენ კონცერტის დროს. ლენინგრადის ფესტივალზე ლამაზად დამამახსოვრდა ერთი ქართველი ემიგრანტი, სამამულო ომის მონაწილე, რომელსაც ძალიან უყვარდა სიმღერა „გაფრინდი შავო მერცხალო.” ამ სოლოს ვმღეროდი მე. როდესაც გამოვედი კონცერტიდან, კისერზე შემისვა და ნევის პროსპექტი ასე შემომატარა... ეს დღე არასდროს დამავიწყდება.

პავლე დემურიშვილის გუნდი იყო საუკეთესო საუკეთესოთა შორის. ჩვენ ვხსნიდით ელისო ვირსალაძის თელავის ფესტივალს, სადაც რამდენჯერმე სოლოც მაქვს ნამღერი. ბატონ პავლეს ძალიან კარგი მეთოდი ჰქონდა ჩვენი აღზრდის, – მან იცოდა როგორ გაფრთხილებოდა ჩვენ ხმას და სწორედ მისი დამსახურებით შევძელი კლასიკაშიც თავის დამკვიდრება.

10-11 წლის ასაკში გატაცებული ვიყავი ნეაპოლიტანური სიმღერებით. ჩანაწერებს ვისმენდი და გატაცებით ვმღეროდი ამ სიმღერებს, ბუნებრივია, არაზუსტი ტექსტებით, თუმცა, მოგვიანებით ტექსტებიც გავასწორე.

– შემდგომ იზა ცერცვაძის მოწაფე იყავით?

– დიახ და მას დიდი დამსახურება აქვს ჩემი, როგორც მომღერლის ჩამოყალიბებაში. მასთან რამდენიმე ხნის მეცადინეობის შემდგომ კონსერვატორიაში დიდი წარმატებით ჩავაბარე გამოცდები საოპერო მუსიკის მიმართულებით, ვოკალის სპეციალობაზე. მოვხვდი ჯემალ ლორთქიფანიძის კლასში, რომელიც იყო მსოფლიო დონის ბარიტონის, ლადო ათანელის პედაგოგი, თავადაც არაჩვეულებრივი ტენორი და პიროვნება. რამდენიმე წელიწადში, იგი, სამწუხაროდ, გარდაიცვალა და სწავლა გავაგრძელე ნოდარ ანდღულაძესთან, დიდებულ ადამიანთან. მან, შეიძლება ითქვას, მიშვილა და მიპატრონა ბოლომდე.

შემდეგ იყო საპატრიარქოს გუნდი, სადაც ხუთი წლის მანძილზე ვმღეროდი. გარდა ამისა, ვმღეროდი ოპერაში. საოპერო სტუდიაში ნამღერი მაქვს ძალიან ბევრი სოლო ნომრები. რამდენიმე წელი ოპერა იყო დაკეტილი... ერთ-ერთმა ჩვენმა მეგობარმა, მუსიკათმცოდნე მერიკო შეყილაძემ იპოვა ნოტები პირველი ოპერის – „ჯაკოპ ოპერის“ 1600 წელს დაწერილი, ევრიდიკეს კლავირი, პარტიტურა, საიდანაც გაჩნდა იდეა დაედგათ ეს ოპერა. მთავარ როლზე დამამტკიცეს მე. რეჟისორი იყო დავით საყვარელიძე, რომელიც ოპერის თეატრის დირექტორი გახლდათ და ამჟამად წინანდალში აწყობს საერთაშორისო დონის ფესტივალებს. ძალიან დიდი წარმატება ჰქონდა ამ სპექტაკლს. კოსტიუმების ავტორმა მაკა ასათიანმა, კოსტიუმები სპეციალურად პარიზიდან ჩამოგვიტანა და ეს როლი, რომელიც ნინო სურგულაძესთან, გია ონიანთან ერთად შევასრულე, აღმოჩნდა დაუვიწყარი. იმ შემადგენლობიდან, მაშინ ვინც ვიყავით, დღეს თითქმის ყველა მათგანი მსოფლიო ვარსკვლავია.

– როგორ მოხდა გერმანიაში თქვენი წასვლა?

– საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა კონკურსი და საოპერო მომღერლები მოისმინა ერთ-ერთმა აგენტმა ურსულა იოჰმუსმა, რომელიც არის სახელმწიფო აგენტი ქალაქ კიოლნში, აქვს საკუთარი ოფისი. ეს ქალბატონი ეძებდა ნიჭიერ ახალგაზრდებს თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. მოუსმინა უამრავ მომღერალს და საბედნიეროდ მეც აღმოვჩნდი შერჩეულ კონკურსანტებს შორის.

დიუსელდორფის ოპერაში პირველივე მოსმენის შემდეგ ამიყვანეს. ეს ოპერა აერთიანებს დუისბურგის ოპერასაც – მე ამჟამად ვმუშაობ „გერმანულ ოპერაში რაინზე“.

– ვიდრე თავს დაიმკვიდრებდით, ალბათ რთული იყო დასაწყისი? ოჯახით საცხოვრებლად გადასვლა საქართველოდან გერმანიაში ბევრ პრობლემასთან იქნებოდა დაკავშირებული.

– გერმანიაში ძალიან რთული აღმოჩნდა თავის დამკვიდრება – ბევრი ბარიერის გამო. მართალია, საქართველოში შემარჩიეს, მაგრამ იქ კიდევ სხვა უამრავი კონკურსის გავლა მომიწია. ამ კონკურსამდე იყო: ენის, ფინანსური, მენტალური ბარიერები. მათ გადალახვაში, ნინო, ჩემი მეუღლე, ძალიან დამიდგა გვერდში. დიუსელდორფის ოპერაში აყვანამდე ბევრი მეუბნებოდა, რომ გული არ დამწყვეტოდა, რომ იქ მოხვედრის შანსი თითქმის არ მქონდა, მაგრამ მოხდა პირიქით. მიუხედავად იმისა, რომ ენის ბარიერი დასაძლევი მქონდა, ჩემი მუსიკალური მონაცემები იმდენად მოეწონათ, ამაზე თვალიც კი დახუჭეს. მთელი ცხოვრების მანძილზე ჩემი მეუღლის მადლიერი ვიქნები იმის გამო, რომ არაჩვეულებრივი პროფესიები დათმო (საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების პროფესორი იყო) და წამოვიდა გერმანიაში, სადაც არ შეუწყვეტია სწავლა და განვითარება და შედეგად, უკვე გერმანულს ასწავლის უნივერსიტეტში. ჩემი შვილი, მარიამი, დუსელდორფის სკოლის წარჩინებული მოსწავლეა, ისიც მუსიკის ნიჭითაა დაჯილდოვებული, კარგად უკრავს ფორტეპიანოზე, მღერის, კონცერტებშიც მიუღია მონაწილეობა, თუმცა, როგორც თვითონ გადაწყვიტა, სამედიცინო მიმართულებით აპირებს სწავლის გაგრძელებას. ჯერ არ ვიცი, მუსიკა რამდენად პრიორიტეტული აღმოჩნდება მისთვის.

– ევროპის მასშტაბით მეტად ცნობილი ადამიანი გახდით „კვარას“ სიმღერით და ფეხბურთის სიყვარულით, სხვადასხვა მედია-საშუალებები მუდმივად ატრიალებდნენ ამ ნაწყვეტს. ეს დაემთხვა ხვიჩა კვარაცხელიას დიდი საფეხბურთო კარიერის დასაწყისს იტალიაში. მოგვიყევით ამის შესახებ.

– ნინოს მეგობარი არის თამილა ხეთაგური, რომელმაც დაგვაკავშირა ერთ-ერთ არაჩვეულებრივ გერმანელ ქალბატონთან, რომელსაც ქართველები უზომოდ უყვარს. მას რუსთავში და მარნეულში გახსნილი აქვს თავშესაფრები შშმ ბავშვებისთვის და ხანდაზმულებისთვის. გერმანიის სხვადასხვა ქალაქების მერიების და „ჰაიდელბერგცემენტის“ დაფინანსებით ახერხებს ამ კეთილი საქმეების კეთებას.

როდესაც მან მომისმინა, გახდა ჩვენი დიდი მეგობარი და მიგეგმავდა სხვადასხვა სახის კონცერტებს. ერთ-ერთი ასეთი მიპატიჟება კიოლნიში, ქართულ რესტორან "თამადაში" შედგა. მეორე დღეს კვარას დებიუტი იყო, თუმცა მაშინ მე ამაზე არ ვფიქრობდი. უცბად შემომთავაზეს მემღერა „სანტალუჩია.“ დავიწყე სიმღერა... „ო დოლჩე ნაპოლი,“ სიმღერისას გამახსენდა, რომ კვარა ნაპოლიში თამაშობდა და დებიუტამდე კვარადონაც შეარქვეს. სიმღერას ბუნებრივად მოჰყვა „ო დოლჩე ნაპოლი ხვიჩა კვარაცხელია...“ ეს ვიდეო რომ ატვირთეს, დიდი გამოხმაურება გამოიწვია. უამრავი მნახველი და მომწონებელი ჰყავდა მას. დავიმსახურე "ფიფას" ოთხი ორიგინალი მაისურიც კვარაცხელიას ნომრით. რაც შეეხება ფეხბურთს, დიდი გულშემატკივარი ვარ და, ბუნებრივია, საქართველოს ნაკრების ყველა თამაშს დავესწარი გერმანიაში. იქაც იყო სახალისო მომენტები „კვარას“ სიმღერის გამო...

– გერმანიაში ხშირად მონაწილეობთ სხვადასხვა კონცერტებში, ცნობილ ანდრე რიუს კონცერტზეც კი გამოხვედით ევროპაში მოღვაწე ოპერის სხვა ქართველ მომღერლებთან ერთად...

– დიახ, ის მუსიკალური ფესტივალი მართლაც დაუვიწყარი იყო – თავისი მასშტაბურობით და სახეებით. რამდენჯერმე საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ კონცერტზეც მივიღეთ ქართველმა ოპერის მომღერლებმა მონაწილეობა, რომელიც საქართველოს საკონსულოს ეგიდით ფრანკფურტში გაიმართა.

თუ სადმე რაიმე ქართულს გავიგებ, სულ მზად ვარ შევეხიდო, რადგან მიმაჩნია, რომ უცხოეთში მყოფი თითოეული ქართველი თავისი ქვეყნის სახეა.

ამ სამიოდე თვის წინ, მე და ჩემმა მეუღლემ, ნინო სოზაშვილმა, საქველმოქმედო კონცერტის ჩატრებასაც გავუკეთეთ ორგანიზება დუსელდორფში ქართული ეკლესიისთვის. კონცერტმა ჩაიარა წარმატებით, რის შემდეგაც ქართულ ეკლესიაში აშენდა კულტურის სახლი.

– საქართველოს და თელავის მონატრება თითქოს მუდმივად თან დაგყვებათ, ასე მძაფრად გაქვთ სამშობლოს მონატრების განცდა?

– ძალიან.. ძალიან და ახლა განსაკუთრებით... 10 წელია, რაც გერმანიაში ვარ და ისე მენატრება სამშობლო, ვერ აღგიწერთ. მიუხედავად იმისა, რომ არაჩვეულებრივი სამსახური მაქვს, ქვეყანაც საოცარია, მაინც საქართველოსკენ მიწევს სული და გული. ვნატრობ, ისეთი მომენტი დადგეს ჩემი ოჯახის ცხოვრებაში, რომ ფესვებს დავუბრუნდე... უდიდესი ნატვრა მაქვს თელავში დავაარსო ოპერა. გერმანიაში, სადაც თელავის მსგავსი ქალაქებია, ყველგან არის ოპერა. ვიმედოვნებ, ერთ დღესაც ჩემი ოცნება ასრულდება – თელავში დავბრუნდები და აუცილებლად გავხსნი ოპერას.

– მადლობა ინტერვიუსთვის და წარმატებებს გისურვებთ!

ნელი ცქიტიშვილი
ნინო პაატაშვილი

განათლება

უნივერსიტეტი – ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისთვის

თელავი მიეკუთვნება უძველესი ქალაქების რიცხვს, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მას საქალაქო (city) და ღვინის ტურიზმის თვალსაზრისით. თელავის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ტურისტული რესურსების სიმრავლით და მრავალფეროვნებით, თუმცა, ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის გამოყენებული მისი ტურისტული შესაძლებლობები. თუ გავითვალისწინებთ მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის სტატისტიკურ პროგნოზებს, 2025 წელს საქართველოს ეწვევა 12 000 000 ტურისტი და ერთ-ერთი დომინანტი კახეთის რეგიონი იქნება, რაც მეტ პასუხისმგებლობას უყენებს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული კადრების მომზადებაში.

ამ თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი ტურიზმის დარგს დაეხმაროს, რაც გამოიხატება მაღალპროფესიონალი კადრების მომზადებაში, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიების ცოდნით. დამსაქმებლის მოთხოვნების შესწავლა და გათვალისწინება კი ხელს შეუწყობს კადრების ადგილზე დასაქმებას. იგეგმება, რომ უნივერსიტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდეს ტურისტული კომპანია, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას და წვლილს შეიტანს ტურისტთა მოზიდვისა და მომსახურების პროცესში.

ამჟამად უნივერსიტეტში დასრულდა პროექტი „თელავის მუნიციპალიტეტში ტურისტული ინდუსტრიის სერვისების შესწავლა, ანალიზი და კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება“, რომლის მიზანიც იყო ტურიზმის საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის შექმნა, სადაც სტუდენტები ახალი ინოვაციური მიდგომებით ისწავლიან, აგრეთვე, შეისწავლიან სასტუმროს მართვის სისტემას „ოპერა“; ტურიზმის დარგობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გაუმჯობესდება პრაქტიკის კომპონენტი, გაიზრდება კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობა;

პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა ტრენინგებმა, კონფერენციამ, საქმიანმა შეხვედრებმა კი ხელი შეუწყო სტუდენტებისა და პროფესორების კვალიფიკაციის ამაღლებას; სტუდენტების მიერ შეიქმნა ახალი ინოვაციური, ციფრული ტურისტული პროდუქტი, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის და ადგილობრივი დმო-ს ვებ-გვერდზე, რაც ტურისტების მოზიდვის და ცნობადობის გაზრდის კარგი საშუალებაა.

„– პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტურისტული სერვისების კვლევა, მონაცემების დამუშავება, რითაც გამოვლინდა დამსაქმებლის მოთხოვნები და მომხმარებელთა აზრი. უნივერსიტეტის პროექტში ჩართული ტურიზმის მიმართულების აკადემიური პერსონალი – მე, თამარ თამარაშვილი, ნელი ცქიტიშვილი, ნანა რინკიაშვილი – ტურიზმის ინდუსტრიის ვფიქრობთ, პროექტი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს როგორც უნივერსიტეტის, ისე რეგიონისა და საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით. პროექტის მასალები გამოქვეყნდება მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში, ხოლო კვლევის შედეგები ასახული იქნება ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში. აღნიშნული მასალა სტუდენტებს ხელს შეუწყობს პროფესიულ საქმიანობაში. მომავალში, ცენტრში ჩატარებული კვლევების შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემების გათვალისწინებით, მოხდება გიდების და ტუროპერატორების პროფესიული განვითარების, მომზადების, სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების შეთავაზება,”- აცხადებს პროექტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი მანანა ალადაშვილი.

რაც შეეხება რეგიონულ დონეზე პროექტის პრაქტიკულ გამოყენებას: კვლევის შედეგები ადგილობრივი ტურიზმის ბიზნესით დაკავებულ სექტორს და მეწარმეებს საშუალებას მისცემს გაითვალისწინონ და სრულყონ შეთავაზებული სერვისები, რაც შემდგომში გაზრდის მათ შემოსავლებს და ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობას; ხელს შეუწყობს თელავის მუნიციპალიტეტში ტურიზმის ინდუსტრიის სექტორში, ადგილობრივი და რეგიონული მმართველობასა და უნივერსიტეტის სამეცნიერო წრეებს შორის ურთიერთჩართულობას; წვლილს შეიტანს ტურისტული ბაზრისათვის ინოვაციური და ტექნოლოგიური უნარებით აღჭურვილი პროფესიული კადრების მიწოდებაში;

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანის, თამარ თამარაშვილის თქმით, პროექტის დასრულების შემდეგ, სამუშაოების მიმდინარეობისას მოძიებული და გაანალიზებული მასალები პროექტის მონაწილეების მიერ გამოყენებული იქნება ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში ახალი სალექციო კურსების შესაქმნელად ან არსებული სასწავლო კურსების – ტუროპერეიტინგის, საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების, ექსკურსიათმცოდნეობის, სასტუმრო მომსახურების ორგანიზაციის პრინციპების, ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში – მოდერნიზაციისათვის. კვლევები მომავალში შესაძლოა გაგრძელდეს დონორი ორგანიზაციების დაინტერესებით, მნიშვნელოვანი იქნება ტურისტული მარშრუტების კვლევა გამოყენებული იქნეს ტურისტული ბიზნესისათვის შექმნილ აპლიკაციებში. ასევე, მოხდება ინტეგრირება ტურების დინამიურ პაკეტირებაში, რაც, ვფიქრობთ, ახალი გამოწვევაა ტურიზმის სექტორისათვის.

პროექტი „თელავის მუნიციპალიტეტში ტურისტული ინდუსტრიის სერვისების შესწავლა, ანალიზი და კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება“ ათ თვეს მიმდინარეობდა. იგი უნივერსიტეტის და „საქართველოს ბანკის“ საგრანტო დაფინანსებით განხორციელდა.

„საერთაშორისო პროექტების სიმრავლე თელავის უნივერსიტეტის მიმართ ახალგაზრდების ინტერესს კიდევ უფრო გაზრდის“

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს საერთაშორისო ურთიერთობების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. როგორც უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი თამარ ასლანიშვილი ამბობს, ბოლო წლებში შეინიშნება ტენდენცია – თუკი 2022 წლამდე უმეტესი დაფინანსება ევროკავშირისგან მოდიოდა, 2022 წლის შემდეგ მას დაემატა ა.შ.შ-ის ფონდები, საქართველოში არსებული უცხო ქვეყნის საელჩოები, შვედური ინსტიტუტი (SI), მსოფლიო ბანკი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ). აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტმა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია, დაფინანსებული პროექტების რაოდენობაც მკვეთრად გაიზარდა.

ამჯერად, დაინტერესებულ საზოგადოებას, უნივერსიტეტში მიმდინარე პროექტებიდან მხოლოდ ETHICS, DUGEOR, 3E Partnership da WINTOUR-ს გავაცნობთ, რადგან მიგვაჩნია, რომ თითოეული მათგანი მართლაც კარგი შენაძენია უნივერსიტეტისთვის.

კვლევების კეთილსინდისიერად წარმართვა მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. ამ საკითხს ეხება პროექტი „კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში” (ETHICS). მისი მიზანია, მაღალკვალიფიციურ კვლევებსა და მოწინავე აკადემიურ მიდგომებზე ორიენტირებული პრაქტიკის დანერგვით სისტემურად გააუმჯობესოს უნივერსიტეტებისა და კვლევითი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობა. პროექტი 4 წლის მანძილზე გაგრძელდება და შედეგად კვლევის ეთიკის, სანდოობისა და კეთილსინდისიერი კვლევის პრაქტიკის დანერგვას შეუწყობს ხელს. ამ პროექტის ფარგლებში თელავის უნივერსიტეტში უკვე შეიქმნა აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრი, რომელიც პერიოდულად ატარებს ტრენინგებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის, თუ როგორ უნდა აწარმოონ მაღალხარისხიანი კვლევები. პროექტის განხორციელებას ქართველ პარტნიორებთან ერთად გამოცდილებას უზიარებენ ევროპული უნივერსიტეტების წარმომადგენლები: ამსტერდამის თავისუფალი უნივერსიტეტიდან, ჩეხეთის ჩარლზისა და მასარიკის უნივერსიტეტებიდან, აგრეთვე, აკადემიური კეთილსინდისიერების ევროპული ქსელი/ასოციაციდან. ჩვენი უნივერსიტეტი უკვე სრულუფლებიანი წევრია აკადემიური კეთილსინდისიერების ევროპული ასოციაციის და სარგებლობს იმ რესურსებით, რითაც ევროპული ქსელის სხვა ევროპელი უნივერსიტეტები სარგებლობენ.

კახეთი რომ მეღვინეობის განვითარებაზე ორიენტირებული რეგიონია, ეს მის პრიორიტეტებშიც არის ასახული, რაც სრულად თანხვედრაშია უნივერსიტეტის პრიორიტეტთან. სწორედ ამ მიმართულების ხელშეწყობისათვის ფუნქციონირებს ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტი DUGEOR – „Strengthening capacities for the implementation of dual education in Georgian higher education“/„ქართულ უმაღლეს განათლებაში

დუალური განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება“. მხოლოდ თეორიული სწავლა პრაქტიკის გარეშე ვერ იძლევა ისეთ შედეგს, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს დამსაქმებლების ინტერესებს. ამიტომ, პროექტის ფარგლებში, 4 წლის განმავლობაში დაინერგება დუალური სწავლების მოდული კომპანია „შუმის“ – პარტნიორ საწარმოსთან ერთად. პროექტის ევროპელ პარტნიორებს ავსტრიიდან, გერმანიიდან და სერბეთიდან უკვე აქვთ დუალური სწავლების გამოცდილება, რომელსაც ქართულ უნივერსიტეტებს უზიარებენ. პროექტის ფარგლებში უკვე დასრულებულია ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვა და უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ ვენახში, 2024 წლის რთველს პროექტის ფარგლებში შეძენილი მინი სასწავლო ღვინის ქარხანა, გადამზადებული აკადემიური პერსონალი და დუალურ პროგრამაში ჩართული სტუდენტები უმასპინძლებენ.

ენერგო ეფექტურობა მსოფლიო სტრატეგიული 17 მიზნიდან ერთ-ერთია, რომლის გათვალისწინებაც დადებითად წაადგება არა მარტო ინსტიტუციას, არამედ მთელ ქვეყანას. სწორედ ენერგო ეფექტურობის გაძლიერებას უწყობს ხელს ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტი Erasmus + „ევროპის ენერგოეფექტურობა საქართველოს, აზერბაიჯანის და უკრაინის პარტნიორობის მხარდასაჭერად” (3E Partnership). პროექტი დაიწყო 2023 წლის 1 დეკემბერს და 3 წლის განმავლობაში უამრავ აქტივობას განახორციელებს. პროექტის ფარგლებში უნივერსტეტის აკადემიური პერსონალის მიერ უნდა შემუშავდეს სასწავლო კურსები, რომელიც დაინერგება ეკოლოგიის და მევენახეობის სასწავლო პროგრამებში. პროექტის ფარგლებში შეძენილი მზის პანელები კი გამოყენებულ იქნება განახლებადი ენერგიებისა და ენერგოეფექტურობის მიმართულებით ლაბორატორიების საერთაშორისო ქსელის ფორმირებისთვის. ასევე, დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობები მსხვილი კვლევითი პროექტების განხორციელების, სასწავლო მასალებისა და კურსების შემუშავების, ცნობიერების ამაღლების და ტრენერების გადამზადებისთვის.

ნებისმიერი პროექტის შედეგების მდგრადობა ერთ-ერთი ინდიკატორია წარმატებული საერთაშორისო პარტნიორობისთვის. ამიტომ, თელავის უნივერსიტეტი აქტიურად აგრძელებს თანამშრომლობას უკვე დასრულებული პროექტების ევროპელ პარტნიორებთან. ერთ-ერთი ასეთი წარმატებული თანამშრომლობა გაგრძელდა პროექტ VITA-GLOBAL-ის პარნტნიორებთან, რომელთაც შემოგვთავაზეს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის – Iნტერნატიონალ წინე ტოურისმ WINTOUR ასოცირებული წევრობა. პროექტმა ევროკომისიისგან მიიღო 6 წლიანი გრანტი. ეს თელავის უნივერსიტეტისთვის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ასოცირებული წევრობის პირველი შემთხვევაა. პროგრამა 3 უძლიერესი უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება: ესპანეთის როვირა ე ვირჯილის უნივერსიტეტი, საფრანგეთის ბორდოს უნივერსიტეტი და პორტუგალიის პორტოს უნივერსიტეტი. ამ პროგრამის ფარგლებში ჩვენთან პრაქტიკას გაივლიან პროექტის პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტები.

ჩვენი საქმიანობის წარმატებას ცხადყოფს ერასმუს + საქართველოს ეროვნული ოფისის მონაცემები, რომლის მიხედვითაც თელავის უნივერსიტეტი მეოთხე ადგილი ინარჩუნებს საქართველოში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებს შორის – ევროკომისიის მიერ დაფინანსებული განვითარების პროექტების რაოდენობის მიხედვით. ეს კი რეგიონული პატარა უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი სტატუსია. 2024 წლის კონკურსის შედეგებით თელავის უნივერსიტეტის მონაწილეობით 4 ახალი პროექტი (GASTROTOUR, PROVE, PRODIGE, DECEP) დაფინანსდა. ამ ოთხი პროექტიდან ორს (GASTROTOUR-sa da PROVE-ს), მთლიანად თესაუ გაუწევს კოორდინირებას. ასეთი პრეცედენტი თელავის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა.

ჩვენს მიერ მოყვანილი ეს მაგალითები იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მათ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობაზე, რაც ჩვენი უნივერსიტეტის მიმართ ახალგაზრდების ინტერესს და მოტივაციას კიდევ უფრო გაზრდის, – ამბობს თამარ ასლანიშვილი.

გვერდი მოამზადა ნელი ცქიტიშვილმა

კულტურა

ზაირა არსენიშვილის შემოქმედებას მიეძღვნა

თელავის მთავარ ბიბლიოთეკაში თელაველი მწერლის, სცენარისტისა და მუსიკოსის, ზაირა არსენიშვილის ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც თელავის მუნიციპალიტეტის მერის, ლევან ანდრიაშვილის მხარდაჭერით გამოიცა.

ღონისძიებას ზაირა არსენიშვილის ოჯახის წევრები, მეგობრები, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები და თანაქალაქელები ესწრებოდნენ, რომლებმაც თელაველი ხელოვანი ქალბატონის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ საინტერესოდ ისაუბრეს. ზურაბ და სოფიო არსენიშვილებმა გაიხსენეს მწერლის ცხოვრებისეული ისტორიები, რითაც წარმოჩინდა ის პიროვნული ხიბლი და საუკეთესო თვისებები, რომლითაც ქალბატონი ზაირა მართლაც გამორჩეული იყო. მრავალი საინტერესო ამბავი გაუზიარეს მსმენელს მისმა მეგობრებმა – ფიქრია ყუშიტაშვილმა, კოტე მირიანაშვილმა, ლია მუმლაურმა და სხვებმა. მართლაც ლამაზი შეხვედრა შედგა, ერთ-ერთმა დამსწრემ აღნიშნა კიდევაც, რომ „ძალიან ემოციური დღე იყო... თითქოს ქალბატონი ზაირა იყო ჩვენი მასპინძელი, ჩვენ კი მის ახლობლებთან ერთად ვერთობოდით, დიდი მადლობა ღონისძიების ორგანიზატორებს და თითოეულ გამომსვლელს ამ ემოციებისთვის“.

ანოტირებულ ბიბლიოგრაფიულ საძიებელში თავმოყრილია ყველა ის მასალა, რაც ზაირა არსენიშვილის შემოქმედებას მოიცავს ან რაც მასზე დაწერილა. საძიებელი შეადგინა ნატო ნაცვლიშვილმა. ნებისმიერ დაინტერესებულ მკითხველს მისი გაცნობა როგორც საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ისე თელავის მუნიციპალიტეტის ყველა ბიბლიოთეკაში შეუძლია.

ოფიციალური ვიზიტით ლატვიაში

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ლატვიის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის გაფორმებულია ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ერთობლივ ღონისძიებებს, შეხვედრებსა და აქტივობებს – კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში. მემორანდუმის თანახმად, ორივე მხარე აქტიურად მუშაობს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში საგანმანათლებლო სივრცეების განვითარებაზე.

ლატვიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ევროკავშირის დაფინანსებით განახორციელა პროექტი საზაფხულო სკოლა სახელწოდებით “ევროპა დიალოგისთვის: განათლებისა და კულტურის სფეროში გამოცდილების ურთიერთგაცვლა”, რომლის ფარგლებშიც საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკამ პროექტში მონაწილეობისთვის ჩვენი ქვეყნის რვა რეგიონულ ბიბლიოთეკას გაუწია რეკომენდაცია.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი ანა იორდანიშვილი ეწვია ლატვიის ეროვნულ და რეგიონალურ ბიბლიოთეკებს (რიგა, სიგულდა, ულბროკა, ოგრი, და ვალმიერი).

როგორც ის აღნიშნავს, „საზაფხულო სკოლის პერიოდში ჩატარდა სემინარები, გაიმართა ტრენინგები თანამედროვე ბიბლიოთეკის ფუნქციონირების წამყვანი მიმართულებებისა და მუშაობის სპეციფიკის შესახებ. ლატვიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებობს ქართული წიგნის კუთხე, რომელსაც მეც გადავეცი საინტერესო ქართული გამოცემები.“

გურამ რჩეულიშვილის 90 წლის იუბილე

4 ივლისი გურამ რჩეულიშვილის დაბადების დღეა, იგი 90 წლის გახდებოდა! ამ დღესთან დაკავშირებით, თელავის ისტორიული მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების ორგანიზებით, მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში, გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

გურამ რჩეულიშვილს და მის ოჯახს თელავთან, როგორც მშობლიურ ქალაქთან, ძლიერი ფესვები აკავშირებთ. თელაველებიც განსაკუთრებული სიყვარულით ინახავენ მარად ჭაბუკად დარჩენილი, 26 წლის მწერლის ხსოვნას და ხშირად მართავენ მისი ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს.

გურამ მიხეილის ძე რჩეულიშვილი 1934 წლის 4 ივლისს დაიბადა. 1957 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სულ სამიოდე წელი იღვაწა სამწერლო ასპარეზზე. მწერლის სიცოცხლეში მხოლოდ შვიდი მოთხრობა გამოქვეყნდა: “შემოდგომა ბაბუა კოტესი”, “სათაგური”, “სიყვარული მარტის თვეში”, “ნელი ტანგო”, “თვირთვილა”, “უსახელო უფლისციხელი” და “სიკვდილი მთაში”. მოთხრობათა პირველი კრებული “სალამურა” მისი გარდაცვალების შემდეგ – 1961 წელს გამოიცა.

გურამ რჩეულიშვილის პიროვნებამ იმთავითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. იგი განსხვავდებოდა ყველასგან არა მხოლოდ ცხოვრების სტილითა და შეხედულებებით, არამედ ჩაცმითაც. გურამ ასათიანი იგონებს: „თავისი გარეგნობით გურამ რჩეულიშვილი საგრძნობლად გამოირჩეოდა ზედმიწევნით გამოწყობილ სხვა ახალგაზრდა თბილისელებისაგან: ფართოდ გადაღეღილი, თითქმის შარვლის ქამრამდე ჩახსნილი პერანგის პირი, მოკლედ შეკრეჭილი თმა, ძლიერი, დაჟინებული გამოხედვა... დიდი, უხეში მძიმე ფეხსაცმელები თითქოს მიწისკენ ეზიდებოდნენ მის სხეულს და, ამავე დროს, მთელ მის არსებაში იგრძნობოდა რაღაც მოუსვენარი, ამტყდარი, თითქოს უეცარი ნახტომისთვის გამზადებული ძალა. ის პირველი შეხვედრისთანავე იწვევდა ინტერესს, თითქოს დაჟინებით მოითხოვდა ყურადღებას თავისი პიროვნებისადმი. როგორც ამბობენ, ახლო მეგობრებს იგი გამორჩევით უყვარდათ და ხშირად უთმობდნენ მისი ძლიერი ხასიათის უჩვეულო გამოვლინებებს“.

შეუძლებელია, არ მოიხიბლო გურამ რჩეულიშვილის მცირე ლიტერატურული მემკვიდრეობით. მისი ცხოვრება მისსავე მოთხრობებს ჰგავს... მრავალფეროვანი პერსონაჟები, ქედუხრელნი და ამავე დროს, ლმობიერი ხაისათის, დიდი ადამიანური სითბოს მატარებელნი და თან, სიფიცხითა და ჟინით აღსავსენი. პერსონაჟები, დამწერივით გამორჩეულები, სხვათა „მსგავსი გრძნობების“ არმქონენი, თავისთავადები...

გურამ რჩეულიშვილი, თავისი დაუოკებელი ხასიათით, თითქოს მუდამ განსაცდელს ეძებდა, აკი, იპოვა კიდეც... 1960 წლის 23 აგვისტოს ტრაგიკულად დაიღუპა გაგრაში, როცა მღელვარე ზღვაში გადაეშვა უცნობი ადამიანის გადასარჩენად.

წელს, გურამ რჩეულიშვილს საიუბილეო დაბადების დღე აღინიშნა – 4 ივლისს, მარად ახალგაზრდა ბიჭი, 90 წლის გახდა!

ამ დღესთან დაკავშირებით, თელავის ისტორიული მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების ორგანიზებით, მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში, გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებას ესტუმრნენ პედაგოგები, მკვლევრები და მწერლის პიროვნებასა და შემოქმედებაზე შეყვარებული საზოგადოება. შეხვედრა გახსნა თელავის მუზეუმის დირექტორმა, ბატონმა გურამ ურჩუხიშვილმა. დამსწრე საზოგადოებას, როგორც ამ დღის ორგანიზატორმა, სიტყვით მივმართე და საკუთარი მოხსენება წარვუდგინე. შემდეგ, სიტყვა გადავეცით სტუმრებს: ტექსტოლოგი მაია ჯანგიძე (გახლავთ ერთ-ერთი ავტორი წიგნისა – „გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“), თინათინ გავაშელი, ფილოლოგიის დოქტორი (გურამ რჩეულიშვილის შემოქმედების მკვლევარი), ნანა რჩეულიშვილი (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი), ნანა ბუსურაშვილი (თელავის VII საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი) – მათ გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მეტად საინტერესო და დასამახსოვრებელი თემები წარმოადგინეს.

ღონისძიების დასასრულს, თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ქალბატონმა ფიქრია ყუშიტაშვილმა, ჩვეული ხიბლით დაასრულა შეხვედრა და საზოგადოებას წაუკითხა მურმან ლებანიძის ლექსი – „გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას“:

გურამ! ახალციხესთან ტბა ყოფილა –
მე რა ვიცოდი!
გურამ! ტბასთან სათიბი ზღვად ყოფილა,
მე რა ვიცოდი!
იქ სლავურ სოფელს რა უნდოდა,
მე რა ვიცოდი!
და სანადიროდ, საკალმახოდ, ცხენთა სახედნად
რომ მპატიჟობდი,
ვეღარასოდეს თუ ვერ გნახავდი,
მე რა ვიცოდი!
„ნელი ტანგოა“ ეს ქვეყანა, გურამ!
ხომ არ იცეკვებო, – ათასჯერ მორიდებით
მკითხეს!...
აბასთუმანში, ჭიქა არაყზე,
„გურამი დამხრჩვალაო“, –
სხვათაშორის ბიჭებმა მითხრეს...
აწ გვაგონდები
ჩუმი სევდით და ჩუმი წყენით,
ვინც კაცურ მჯიღით გრანიტებს ფშვნიდი,
გურამ,
შენს წიგნზე დავხატეთ ცხენი –
შენს კისერს უგავს
კისერი – მშვილდი!

გურამ რჩეულიშვილი, თავის თაობაში გამორჩეული ახალგაზრდა, დღესაც არ კარგავს მკითხველთა სიყვარულს. დღესაც ბაძავენ, დღესაც შენატრიან...

თინათინ თუშაბრამიშვილი,
ფილოლოგიის დოქტორი, მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი.

შტრიხები პორტრეტისთვის

„ჩემი ყველაზე დიდი ჯილდო მოსწავლეების უანგარო სიყვარული და მათი მშობლების გულწრფელი მადლიერებაა“

„შტრიხები პორტრეტისთვის“ სტუმარია ვერიკო სახიაშვილი, მუსიკალური სტუდიის ხელმძღვანელი, განათლების სფეროში შეტანილი წვლილისთვის „წლის პერსონის“ ტიტულის მფლობელი.

ბავშვობა და სწავლის პერიოდი

ვერიკო სახიაშვილი დაიბადა ქალაქ თელავში. როგორც თავად ამბობს, მას ჰქონდა ულამაზესი ბავშვობა: „თელავში, იმ პერიოდში, ფუნქციონირებდა ვოკალურ- ინსტრუმენტალური ანსამბლი „ციცინათელა“, რომელსაც ბატონი შალვა სიხარულიძე ხელმძღვანელობდა. მე ამ ანსამბლის სოლისტი ვიყავი და წარმატებული საკონცერტო ტურნეებით მოვიარეთ მთელი საქართველო. მართლაც დაუვიწყარი წლები გვქონდა.

1992 წელს, წარმატებით ჩავაბარე ნიკო სულხანიშვილის სახელობის თელავის სამუსიკო სასწავლებელში, ვოკალურ განყოფილებაზე და აქედანვე დავიწყე სიმღერა ქალაქ თელავის ქალთა კაპელაში, რომლის ხელმძღვანელი ბატონი პავლე დემურიშვილი გახლდათ. 1993 წელს სწავლა გავაგრძელე იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკა-მეთოდიკის ფაკულტეტზე. აქტიურად ვიყავი ჩართული „სტუდენტური დღეების“ ღონისძიებებსა და ფესტივალებში. ამ პერიოდში მივიღე ბევრი ჯილდო, ლაურიატის წოდება, გრან-პრი, ოქროს მედალი, გავიმარჯვე არაერთ კონკურსში და ბევრჯერ მოვიპოვე პირველი ადგილი“.

სამსახური

1997 წლიდან დაიწყო და დღემდე მუშაობს ქალაქ თელავის მესამე ბაგა-ბაღში მუსიკის მასწავლებლად. „მიყვარს ბავშვები და მთელი ჩემი საქმიანობა მათ მუსიკალურ განათლებას ემსახურება“ – ამბობს ვერიკო სახიაშვილი, იგი ასწავლის სხვადასხვა საკრავზე დაკვრასა და სიმღერას. მისი საბავშვო მუსიკალური სტუდია 2004 წლიდან არსებობს. 2020 წლიდან მუსიკალურ სტუდიას დაემატა წინასასკოლო მოსამზადებელი პროგრამა-პრესკოლა, შესაბამისად ეს ცვლილება სახელწოდებაზეც აისახა და ახლა ქალბატონი ვერიკო ხელმძღვანელობს სკოლა-სტუდია „სოლეის“ და მის უნიჭიერეს მოსწავლეებს. დიდი შრომის შედეგად, ბევრი წარმატებისათვის მიუღწევიათ, მათ შორისაა უამრავი ჯილდო, გრან-პრი, ლაურიატის წოდება, მოგებული კონკურსები, ოქროს მედლები და პირველი ადგილები. სკოლა-სტუდია აქტიურად იღებს ვიდეოკლიპებს, რამდენიმე მათგანს მილიონობით ნახვა აქვს. 2005 წლიდან 2015 წლამდე, თელავის საკაბელო ტელევიზია „გორდას“ გადაცემებს შორის იყო ქალბატონი ვერიკოს საავტორო გადაცემა, სახელწოდებით „პატარა თელაველები“, სადაც მისი სკოლა-სტუდიის უნიჭიერესი მოსწავლეები ასრულებდნენ სიმღერებს, ჰყვებოდნენ უცნობ და ცნობილ ისტორიებს და მხატვრულად კითხულობდნენ ლექსებს. 2008 წლიდან 2014 წლამდე იგი მუშაობდა ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლში მუსიკის მასწავლებლად. როგორც ამბობს, მას ამ ბავშვებთან დღემდე განსაკუთრებული ემოცია და სიყვარული აკავშირებს.

„რაც შეეხება ჩემი საბავშვო მუსიკალური სტუდიის მიღწევებს: ხშირად ვმონაწილეობთ როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ ფესტივალებზე, სადაც წარმატებით გამოვდივართ: რამდენჯერმე აღებული გვაქვს პირველი ადგილი, ასევე ლაურეატის წოდება, ხშირად გვიწვევენ ფესტივალ-კონკურსებზე, თუმცა ჩემთვის, როგორც პედაგოგისა და სტუდიის ხელმძღვანელისთვის, ყველაზე დიდი ჯილდო ჩემი მოსწავლეების გულწრფელი სიყვარულია. ჩვენი ერთი დიდი ოჯახი ვართ, მე ვცდილობ და ეს კარგადაც გამომდის, რომ მხოლოდ ბავშვები კი არა, მათ მშობლებიც დავამეგობრო ერთმანეთთან, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვინც მიცნობს, ყველამ იცის, რომ უზომოდ მიყვარს ბავშვები, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ მათ ფსიქოლოგიურ მზაობას, ვეხმარები ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებაში, კომპლექსების დაძლევაში, თვითშეფასების ამაღლებაში, ვასწავლი ხელოვნების სიყვარულს, ერთმანეთის სიყვარულს, მშობლების პატივისცემას, ჩვენი სამშობლოს და დედა ეკლესიის სიყვარულს... დავდივართ ისეთ ტაძრებში, სადაც წირვა-ლოცვა არ აღევლინება და ვალაგებთ, ვასუფთავებთ; შეძლებისდაგვარად, ვეხმარებით გაჭირვებულ მრავალშვილიან ოჯახებს... ეს ყველაფერი, ვფიქრობ, მათ დაეხმარება კარგ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ, ცხოვრება კი თავად აჩვენებს მომავალ გზას – ზოგი კარგი მომღერალი იქნება, ზოგი კარგი ექიმი, ზოგიც პედაგოგი... მთავარია სამშობლო უყვარდეთ და ღირსეული მოქალაქეები იყვნენ.

სასწავლო წლის შეჯამება იყო თელავის ნიკო სულხანიშვილის სამუსიკო სასწავლებელის დიდ საკონცერტო დარბაზში, სკოლა-სტუდია „სოლეის“ მიერ ჩატარებული ქართული კინომუსიკის სოლო კონცერტი. სტუდიის მოსწავლეებმა შეასრულეს ძველი ქართული ფილმების უკვე კარგად მივიწყებული და ამავდროულად, ყველასთვის საყვარელი მუსიკალური ნომრები. ტრადიციულად, „სოლეი“ წელიწადში ორჯერ – შობის დღესასწაულზე და სწავლის დასრულებისას, ზაფხულში – მართავს კონცერტს.

„კინო მუსიკა აღმოჩნდა ძალიან საინტერესო თემატიკა, რადგან ყველა იმ ფილმს ვუყურეთ, რომლიდანაც ბავშვებმა და მათმა მშობლებმა სიმღერები ერთობლივად შეასრულეს. მართალია არ ვიცი, რამდენად გაიგეს ფილმების სრული შინაარსი პატარებმა, მაგრამ ვეცადე მათ გულებში სამშობლოს სიყვარულის თუნდაც სულ მცირე ნაპერწკალი გამეღვივებინა. ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვობიდანვე შევაყვაროთ ჩვენ პატარებს ქართული ფილმი, რადგან ის ბავშვი, ვინც პატივს სცემს ტრადიციას, აუცილებლად იქნება პატრიოტი თავისი ერის, ქვეყნის და სარწმუნოების,” – აღნიშნავს ვერიკო სახიაშვილი.

კულტურულ საღამოს დაესწრო თელავის მუნიციპალიტეტის მერი, ლევან ანდრიაშვილი, რომელმაც როგორც სტუდიას, ასევე მოსწავლეებს წარმატებები უსურვა და მზაობა გამოხატა მათი მხარდაჭერისთვის.

საზოგადო საქმიანობა

ვერიკო სახიაშვილის თქმით, მან დიდი პასუხისმგებლობა იგრძნო 2019 წელს, როდესაც შესთავაზეს საპატრიარქოს ჩოხოსანთა თელავის სადროშოს ნორჩი ჩოხოსნების ხელმძღვანელობა. მას მიღებული აქვს მადლობის სიგელი საპატრიარქოს ჩოხოსნების მეთაურის მოადგილის ზვიად სეხნიაშვილისაგან, – სამაგალითო შემართებისა და თავდადებული შრომისათვის. როგორც ამბობს, ჩოხოსნებთან ერთად ბევრი საქველმოქმედო საქმე აქვთ გაკეთებული, რითიც გაჭირვებულ ოჯახებს შეუმსუბუქეს ყოველდღიური ყოფა.

დედაშვილობა

„27 წლის ვიყავი, დედა რომ გავხდი და კესო რომ დავინახე, სამყარომ ფერი შეიცვალა... თავიდანვე მშვიდი ბავშვი იყო, ბეჯითი, ოცნებაშიც ვერ ვინატრებდი, ისეთი შვილია. ზოგადად ხომ დედები არიგებენ შვილებს, ჩვენს შემთხვევაში კესოს აზრს პატარაობიდან ვითვალისწინებდი და მის რჩევასაც გულდასმით ვისმენდი, იგი ჩემი საუკეთესო მეგობარია. ჩემი გოგონა ახლა უკვე უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტია, სტიპენდიანტი, აქტიურად არის ჩართული სტუდენტურ ცხოვრებაში. გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა ევროპის ერთ-ერთ უნივერსიტეტში. მისი ყოველი წარმატება მაბედნიერებს. როდესაც ქუჩაში მაჩერებენ და კესოს აქებენ, მის შესახებ მეუბნებიან, თუ როგორი კარგად აღზრდილია, ყოველ ჯერზე თავიდან ვიბადები. ძალიან ბევრ დედას უთქვამს – „ნეტავ ჩემი შვილიც კესოსნაირი გაიზარდოსო“ – ამის მოსმენა რა ემოციას იწვევს ჩემში, სიტყვებით ვერ გადმოვცემ! ვფიქრობ, ქალის ბედნიერებას, მის წარმატებულ ცხოვრებას განსაზღვრავს ის, როგორ შვილებს აღზრდის, ვაჟა ფშაველას სიტყვებსაც მოვიშველიებ „ლამაზად შვილის გამზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადა“. მე ყველა ქალში იმდენ გმირს ვხედავ, რამდენ ლამაზად აღზრდილ შვილსაც აჩუქებს ჩვენს პატარა ქვეყანას.

...

მიუხედავად იმისა, რომ ვერიკო სახიაშვილს მიღებული აქვს უამრავი მადლობის სიგელი, დიპლომი, სერტიფიკატი, გრან-პრი, ლაურიატის წოდება, პირველი ადგილი, როგორც ის ამბობს, ყველაზე დიდი ჯილდო მისთვის ხალხის პატივისცემა, მოსწავლეების უანგარო სიყვარული და მათი მშობლების გულწრფელი მადლიერებაა. წარმატებები მას და მის პატარა მომღერლებს.

ნელი ცქიტიშვილი

ხელოვნება

იუბილე, რომელიც თელავს დიდხანს ემახსოვრება...

თელავში, ნიკო სულხანიშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში, გაიმართა რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის, ვოკალისტის, არაჩვეულებრივი პიროვნების ქალბატონ იზა ცერცვაძისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო. ეს იყო ღვაწლმოსილი ადამიანისადმი მადლიერების გამოხატვა, რომელმაც აღაფრთოვანა დამსწრე საზოგადოება. ვფიქრობ, ეს საღამო დიდხანს ემახსოვრება ქალაქს.

ღონისძიებაში, რომელმაც ანშლაგით ჩაიარა, მონაწილეობდნენ ქალბატონი იზას მოსწავლეები, მისი აღზრდილები, არასრული შემადგენლობით. საღამო – ემოციური, მრავალფეროვანი, სითბოთი და სიყვარულით აღსავსე... ნამდვილი მუსიკალური დღესასწაული – დარბაზში ისმოდა აკადემიური მუსიკა და მსმენელსა და შემსრულებლებს შორის სუფევდა სრული ჰარმონია, არ წყდებოდა ტაში, ოვაციები...

ყველაფერი კი 51წლის წინ დაიწყო, როდესაც ქალბატონმა იზა ცერცვაძემ პირველად შედგა ფეხი ჩვენი ქალაქის მუსიკალურ ტაძარში – ნ. სულხანიშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში. მას შემდეგ იგი მაღალი პროფესიონალიზმით და გულითადად ემსახურება ჩვენი ქალაქის მუსიკალურ ცხოვრებას, ახალგაზრდებს აზიარებს აკადემიურ ხელოვნებას. უკვე რამდენი თაობა გაუშვა მან მუსიკალურ ასპარეზზე, რამდენი ნიჭიერი და მადლიერი ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელი! სწორედ ამ მადლიერების გამოხატვა გახლდათ ეს საიუბილეო საღამო, რომელიც ამ დიდებულ ქალბატონს მიეძღვნა. სცენაზე იდგნენ მისი აღზრდილები ,ის ადამიანები, რომლებიც თელავის სინამდვილეში ქმნიან ქალაქის მუსიკალურ ამინდს; ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის საოპერო სცენებს ამშვენებენ.

სწორედ იზა მასწავლებლის დამსახურებაა, რომ მე დღეს ვემსახურები ხელოვნებას, სწორედ მან შემაყვარა და მამოგზაურა მუსიკის უმშვენიერეს სამყაროში, სადაც სამუდამოდ დავრჩი. სრულიად ახალგაზრდას, სასწავლებელში შესვლისთანავე შემეგება იგი თავისი მომნუსხველი ღიმილით. მაშინათვე მოვიხიბლე მისი ვიზუალით, არისტოკრატულობით, ჩაცმის სტილით, ვარცხნილობით და დახვეწილი მანერებით. პიროვნული თვისებებითაც ყველასგან განსხვავდებოდა – გულის გულში გვიკრავდა და დედობრივი სიყვარულით გვზრდიდა თითოეულ მოსწავლეს, მას ხომ საკუთარი შვილი არ ჰყავდა და მთელ სითბოს ჩვენ გვიზიარებდა, ჩვენ დაგვნატროდა...

ჩვენი დიდი მაესტრას ღვაწლი ქალაქის და მომავალი თაობების წინაშე ფასდაუდებელია! მინდა, რომ დიდხანს გვყავდეს – მოვეფეროთ, მოვუფრთხილდეთ იზა მასწავლებელს, რათა კვლავაც დააფრთიანოს მომავალი ვარსკვლავები.

ნაზი ჩიდრაშვილი,
მუსიკალური სტუდიის ხელმძღვანელი

შეხვედრა საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებულებთან

ჩეხეთში, ქალაქ კრალოვი-ვარში მიმდინარე საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსში მონაწილე სტუდია "N-voice-is" მოსწავლეებმა სხვადასხვა ჯილდო დაიმსახურეს და საპრიზო ადგილები დაიკავეს.

კონკურსში მონაწილეობას თელავიდან 5 ახალგაზრდა მუსიკოსი იღებდა და ხუთივე მათგანმა გამარჯვება მოიპოვა: მარიამ სამხარაძემ და გიორგი ხუტუაშვილმა გრან-პრი, ანი ბაღანაშვილმა, ეთერ მათიაშვილმა და მარიამ ფირანიშვილმა კი სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავეს.

კონკურსის გამარჯვებულ ახალგაზრდებსა და მათ პედაგოგს, სტუდიის ხელმძღვანელ ნაზი ჩიდრაშვილს თელავის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ანდრიაშვილი და მისი მოადგილე ფიქრია ყუშიტაშვილი შეხვდნენ და მიღწეული წარმატება მიულოცეს.

საერთაშორისო კონკურსში გამგზავრებამდე, ნაზი ჩიდრაშვილის სტუდიის მონაფეებმა თელავის თეატრში სასწავლო წლის შემაჯამებელი საღამო-კონცერტი გამართეს, რომელმაც მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

მაესტრო ჯუმბერ სახეიშვილს 87 წელი შეუსრულდა

თელაველ კომპოზიტორს, პედაგოგს, ლოტბარს და 300-ზე მეტი მუსიკალური ნაწარმოების ავტორს, საპატიო თელაველს, ჯუმბერ სახეიშვილს 87 წელი შეუსრულდა.

თელავის მუნიციპალიტეტი მერიის წარმომადგენლებმა, ჯუმბერ სახეიშვილს დაბადების დღე მიულოცეს. მათ აღნიშნეს, რომ თელავის კულტურული და მუსიკალური ცხოვრების განვითარებაში განუზომლად დიდია ბატონი ჯუმბერ სახეიშვილის წვლილი.

თავად ჯუმბერ სახეიშვილი იხსენებს იმას, თუ საიდან დაიწყო მისი ინტერესი მუსიკის მიმართ, როგორი იყო გზა, რომელიც მან მუსიკის სფეროში გაიარა და როგორია ის ემოცია, რაც კომპოზიტორს მუსიკასთან აკავშირებს.

„მუსიკის შესწავლა დავიწყე 5 წლის ასაკიდან. სამუსიკო სკოლის დასრულებისთანავე ვიგრძენი, რომ სამუსიკო ხელოვნება ჩემი ცხოვრების გზა გახდებოდა. სკოლის დასრულების შემდეგ ჩავაბარე „გეპეი"-ში, ავტომინჟინერის სპეციალობით. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დასრულებამდე თელავში გაიხსნა მუსიკალური ტექნიკუმი, სადაც გამოცდა ვოკალში, მეგობრებთან ერთად ჩავაბარე. სულ მინდოდა თბილისში მიმეღო უმაღლესი მუსიკალური განათლება, რისთვისაც დრო თითქმის არ მრჩებოდა. მიუხედავად ამისა, დაკავებული ვიყავი სამუსიკო კონკურსებით, რომლებიც საქართველოში იმართებოდა და პირველი ქალაქი, რომელიც ამაში მონაწილეობდა იყო თელავი. როდესაც მე ჩემი გუნდით ვიღებდი მონაწილეობას, ისინი ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდებოდნენ კონკურსიდან. ეს იყო ჩემი მოწოდება და ამ გზას მივყვები დღემდე.

ძალიან დიდი მადლიერება გამოვხატე, როდესაც ამდენი წლის შრომის შემდეგ ჩემი დამსახურება აღნიშნა ადგილობრივმა ხელისუფლებამ. ვაპირებ წელს და მომავალ წელსაც რამდენიმე კონცერტის ჩატარებას, თუ ღმერთი მომცემს ამის შესაძლებლობას," – ამბობს ჯუმბერ სახეიშვილი.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს, ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის წინ, გაიხსნა ჯუმბერ სახეიშვილის ვარსკვლავი.

ნინო პაატაშვილი

სპორტი

გიორგი ღვარძელაშვილი ჩოგბურთში საქართველოს ჩემპიონია

თელაველმა ახალგაზრდა ჩოგბურთელმა გიორგი ღვარძელაშვილმა 16 წლის ასაკში შეძლო და საყვარელ სპორტში – ჩოგბურთში, საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. სპორტსმენი ამბობს, რომ მიუხედავად დიდი ბრძოლისა და სირთულეებისა, რაც წარმატებისკენ მიმავალ გზას ახასიათებს, დანებების პირას მისულიც ბოლომდე ფეხზე წამოდგომას, არჩეული გზის გაგრძელებას და საკუთარ თავზე მუშაობას განაგრძობდა.

„ჩოგბურთში ვარჯიში დავიწყე 6 წლის ასაკიდან მწვრთნელის – ირინე ბლუაშვილის ხელმძღვანელობით. ვარ სხვადასხვა შიდა და საეთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი, ასევე, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი.

საქართველოს პირველობაზე ჩემი პირველი წარმატება იყო 12 წლამდე ასაკში დაკავებული მე-3 ადგილი. მოვხვდი საქართველოს ნაკრებში და იმავე წელს ვითამაშე ევროპის გუნდური ჩემპიონატი ჩეხეთში. ამის შემდეგ, სავარჯიშოდ გადავედი წვრთნელთან – გიორგი ჭიჭაშვილთან და ვარჯიშებს ვუთმობდი ბევრად მეტ დროს.

სამწუხაროდ, კოვიდ პანდემიის პერიოდში გვიწევდა ვარჯიში კორტების გარეთ, ძირითადად ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე. პანდემიის დასრულების შემდეგ, პირველი ტურნირი იყო საქართველოს პირველობა 14 წლამდე ასაკში. მართალია, ამ ტურნირზე დავიკავე მე-3 საპრიზო ადგილი, მაგრამ ტრავმამ იჩინა თავი, რის გამოც თვეების განმავლობაში ვისვენებდი სპორტისგან და მხოლოდ მსუბუქი ვარჯიშებით შემოვიფარგლებოდი. საბოლოოდ, მწვრთნელის და ექიმების დახმარებით რამდენიმე თვეში დავუბრუნდი აქტიურ ვარჯიშს და ტურნირებზე თამაშიც დავიწყე. შემდგომ, გაიმართა საქართველოს პირველობა, სადაც დავიკავე მე-2 ადგილი და ნაკრების შემადგენლობაში ვითამაშე ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი.

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, სამწუხაროდ, სხვა ტრავმამ იჩინა თავი და რამდენიმე თვე ისევ მომიწია იძულებითი შესვენება. მქონდა იმედგაცრუება, ჩოგბურთისთვის თავის დანებების სურვილი, მაგრამ მწვრთნელის გიორგი ჭიჭაშვილის და ექიმების დახმარებით ეს სიძნელეც გადავლახე.

მალევე რეაბილიტაცია დაიწყო თელავში არსებულ ჩოგბურთის კორტებზე და თითქმის ერთი წლის მანძილზე, კორტების დირექტორის დახმარებით, ვვარჯიშობდით ქალაქგარეთ. ამ პერიოდში გავდიოდი სხვადასხვა საერთაშორისო დონის ტურნირებზე როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ამ პერიოდში საქართველოს პირველობაზე 16 წლამდე ასაკში, დავიკავე მე-2 ადგილი, ხოლო ერევანში – პირველი ადგილი.

მიმდინარე წლის მარტში, სომხეთში საერთაშორისო ტურნირზე 16 წლამდელთა შორის დავიკავე პირველი ადგილი.

თელავის ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაციამ ჩემი შედეგების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, რადგან უკვე გვაქვს დახურული დარბაზი და ზამთრის პერიოდში ვარჯიშები სისტემატურად მიმდინარეობს. სულ ახლახანს კი საქართველოს 16 წლამდე ასაკის პირველობაზე დავიკავე პირველი ადგილი.

ჩემი მთავარი მიზანია, რომ მამაკაცებში მაღალი დონის ჩოგბურთი ვითამაშო. შევცდები თავდაუზოგავი შრომით და ბევრ ტურნირებში მონაწილეობით მიზანს მივაღწიო. იღბალი თავისით არ მოდის, იღბალი მოდის მიზანდასახულობით და თავდაუზოგავი შრომით,“ – განაცხადა ახალგაზრდა ჩოგბურთელმა გიორგი ღვარძელაშვილმა.

გიორგი ღვარძელაშვილის თქმით, ჩოგბურთის სიყვარული მამას უკავშირდება, რომელსაც გიორგი ბავშვობაში ხშირად დაყავდა კორტებზე თამაშების საყურებლად, რადგან მასში ჩოგბურთის მიმართ ინტერესი გაჩენილიყო.

სპორტსმენი მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, ვინც ყოველთვის გვერდში ედგა, მოტივაციას ძლევდა და რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს მის დღევანდელ წარმატებაში: **„მადლობელი ვარ მამის, ბებიის და, რა თქმა უნდა, ჩემი მწრთვნელების, ვინც საფუძველი ჩაუყარეს ჩემ წარმატებას. ირინა ბლუაშვილს, რომელმაც მომამზადა და დღემდე გვერდში მიდგას ბოლომდე, ასევე, გიორგი ჭიჭაშვილს.**

ურღმესი მადლობა მინდა გადავუხადო ფედერაციას, სკოლას და თელავის ჩოგბურთის კორტების დირექციას გვერდში დგომისთვის.

საერთაშორისო დონის კორტების მოწყობისთვის და სპორტსმენების მხარდაჭერისთვის დიდი მადლობა თელავის მუნიციპალიტეტის მერიას,“ – ამბობს გიორგი ღვარძელაშვილი.

წინ დიდი შრომა და მრავალი შეჯიბრი ელოდება გიორგის. წარმატებები ვუსურვოთ მას.

მარიამ გულიაშვილი — 13 წლის ძიუდოისტის წარმატება

მარიამ გულიაშვილი თელაველი სპორტსმენია, რომელიც 7 წლის ასაკიდან ეუფლება ჭიდაობას, კერძოდ, ძიუდოს და ვარჯიშობს თელავის ჭიდაობის სპორტულ სკოლაში.

ახალგაზრდა სპორტსმენმა, მიმდინარე წლის 3 ივლისს, თურქეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე დაიკავა საპრიზო მეორე ადგილი, ხოლო 20 ივლისს, თურქეთის ქალაქ ქოჩაელში გახდა ძიუდოში ევროპის თასის გამარჯვებული.

„ძალიან სასიამოვნო მომენტი იყო „ევროპის თასზე“ გამარჯვების მოპოვება. მინდა მადლობა ვუთხრა თელავის მუნიციპალიტეტის მერიას იმისთვის, რომ შეუმჩნეველი არ დატოვა ჩემი წარმატება, ქალაქის მერს – ლევან ანდრიაშვილს, რომელმაც პირადად მომილოცა გამარჯვება. ჩემი მიზანია, გავხდე ოლიმპიური ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონი.“ – განაცხადა მარიამ გულიაშვილმა.

მარიამ გულიაშვილს თელავის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან ანდრიაშვილმა მიღწეული წარმატება პირადად მიულოცა და მას სიმბოლური საჩუქრები და ფულადი პრიზი გადასცა.

წარმატებები — პარაოლიმპიელებს!

საქართველოს პარაოლიმპიური ნაკრები პარიზის ზაფხულის მე-17 პარაოლიმპიურ თამაშებზე სპორტის 6 სახეობაში 14 პარაათლეტით იასპარეზებს.

მათ შორის იქნება თელაველი ვლადიმერ ჭინჭარაული, თელავის მუნიციპალიტეტის სპორტულ კლუბთა გაერთიანება “თელავის” სპორტული ტირის მენეჯერი, რომელიც პარა სროლაში (შაშხანით სროლა R4 და R5 კატეგორიებში 10 მეტრზე და R9 კატეგორიაში 50 მეტრზე) საქართველოს ერთადერთი წარმომადგენელი იქნება.

პარიზში გამგზავრებამდე, თელავის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ანდრიაშვილი, საქართველოს სროლის ეროვნული ნაკრების წევრები და ფედერაციის, სპორტულ კლუბთა გაერთიანება “თელავისა” და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ლადო ჭინჭარაულს შეხვდნენ და გზა დაულოცეს ოლიმპიურ ასპარეზზე. მანამდე, პარაოლიმპიელებს შეხვდა და წარმატება უსურვა საქართველოს პრემიერ მინისტრმა ირაკლი კობახიძემ.

გვერდი მოამზადა ნინო პაატაშვილმა

თელავში კიკბოქსინგის ტურნირი ჩატარდა

4 აგვისტოს, თელავში კიკბოქსინგის ტურნირი ჩატარდა. თელავის მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ინფორმაციით, ტურნირში მონაწილეობდა 22 გუნდი. გაიმართა 27 საჩემპიონო ბრძოლა “ჩემპიონის ქამარის” მოსაპოვებლად.

საქართველოს პირველი ნომერი კიკბოქსიორი, ა.ა.ი.პ თელავის კიკბოქსინგის კლუბ „ჯორჯიას“ სპორტსმენებმა მოიპოვეს, რომლის ხელმძღვანელი და მწვრთნელიც ვანო ათამაშვილია. საჩემპიონო ქამრების მფლობელები გახდნენ: ლუკა სისაური, გიორგი ბუცხრიკიძე, შორენა ვაჭრიძე, ზურა კაკრიაძე.

თელავის კიკბოქსინგის კლუბ „ჯორჯიას“ ხელმძღვანელის და მწვრთნელის ვანო ათამაშვილის განცხადებით, აღნიშნული ჩემპიონატი ყოველწლიურად ტარდება, თელავმა ივენთს ნელს უკვე მესამედ უმასპინძლა.

„ტურნირის სახელია, „კახეთი, პროფ“ ივენთი. ტურნირზე მონაწილეობა საქართველოს მასშტაბით, 22 გუნდის პირველი ნომრის სპორტსმენებმა მიიღეს. მათ შორის იყვნენ გოგონებიც. აღსანიშნავია, რომ თელავში კიკბოქსინგი საკმაოდ მაღალ დონეზეა. ჩემი კლუბი უკვე 11 წელია ფუნქციონირებს და მყავს როგორც საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები, ისე ევროპის პრიზიორები. გუნდში 80 – მდე სპორტსმენი ვარჯიშობს სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში და იგი საკმაოდ წარმატებულია. მსგავსი სახის ტურნირების მიზანია, ქალაქში სპორტის პოპულარიზაციის გაზრდა უკვე ჩემი კლუბის სახელით დაარსებული ორგანიზაციის – „კახეთი პროფ“ ივენთის მეშვეობით, რომელიც ყოველთვის დიდი ორგანიზებით ატარებს ტურნირებს. 4 აგვისტოს ჩატარებულმა კიკბოქსინგის ივენთმა იმდენად მაღალი დონე აჩვენა, რომ შესაძლოა ერთი წლის განმავლობაში რამდენიმე ტურნირს ვუმასპინძლოთ მომავალში,“ – განაცხადა ვანო ათამაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს კიკბოქსინგის ფედერაცია – ლაშა ჭურაძე; თელავის კიკბოქსინგის კლუბი „ჯორჯია“ – ვანო ათამაშვილი; კლუბის სპონსორი – მამუკა კირვალიძე.

ვულოცავთ გამარჯვებას!

მოლდოვის ქალაქ კიშინოვში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე პარამკლავჭიდში, თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა “თელავის” სპორტსმენებმა გამარჯვება მოიპოვეს ცოტნე ქააძემ საპრიზო პირველი, დავით გიგოლაშვილმა კი მეორე ადგილი დაიკავა. ვულოცავთ მათ მიღწეულ წარმატებას

რედაქტორი:
ნელი ცქიტიშვილი
telavisgazetiinfo@gmail.com